# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 79 ნიუ იორკი, ოქტომბერი, 1968 წ. **GEORGIAN OPINION** NEW YORK, OCTOBER 1968


ნიუ იორკი, ოქტომბერი, 1968 წ.

ყოველ ერსა აქვს წლის განმავლობაში დღეები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისანი არიან და ხელს უწყობენ გამოავლინოს თავისი ნამდვილი ვინაობა, ხოლო როდესაც ამ დღით მისი შვილები ერთად შეიყრებიან ისინი ასახავენ თავისი ქვეყნის უტყუარ სურათს.

ქართველ ერს ბევრი რამ აერთებს დასავლეთის კულტურასთან. მისი რელიგიური დღესასწაულები, როგორიცაა შობა და აღდგომა, მას ძლიერად აკავშირებს, როგორც რომის, ისე ბიზანტიურ სამყაროსთან.

საახალწლო შეხვედრა ქართველისათვის წარსულის გადასინჯვისა და ახალი გადრდაწყვეტილების დღეა, რათა შემოინახოს მომავლისადმი იმედი და რწმენა.

უახლოეს დღესასწაულთა შორის, რომელსაც ქართველებთან ედთად მთავალი სხვა ერებიც აღნიშნავენ, არის დამოუკიდებლობის წლისთავი.

თავისუფლება, მიღწეულია ის თუ გამოცხადებული, ისევე საზეიმო მოვლენაა ერისათვის, როგორც მისი ენა და კულტურა.

ამიტომ ქართველებისათვის 26 მაისი არის უაღრესი ზეიმის და ბედნიერების დღე. ეს იმასვე ნიშნავს, რასაც ოთხი ივლისი ამერიკელებისათვის.

ეს მოხდა 1918 წ. მაისი 26-ს როცა ქართველმა ერმა თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და მოიშორა უცხო ბატონობა.

მიუხედავად ხანმოკლეობისა, საქართველოს დამოუკიდებლობა, ყოველწლიურად მხურვალე გამოძახილსა პოულობს. დამოუკიდებლობის ყოველწლიური აღნიშვნით, ჩვენ ვამტკიცებთ მის მნიშვნელობას და ქართველებ შორის მომავლის იმედს და ვაცოცხლებთ თავისუფლების სურვილს და რწმენას.

ერმა შეიძლება დაკარგოს დამოუკიდებლობა, მაგრამ თუ მასში ცოცხლობს დამოუკიდებლობის იდეა, ის უკვდავია და იქნება კიდეც დამოუკიდებელი.

დამოუკიდებლობის იდეის უკვდავებას ემსახურება ყოველწლიურად გამართული დამოუკიდებლობის წლისთავი.

მრავალმა ქართველმა დაიმსახურა უცხოეთში შემფარებელი ქვეყნის პატივისცემა, მრავალმა გაამდიდრა „ახალი სამშობლო“ ქართული ძველი კულტურის იქ გადანერგვით.

მრავალი უცხოელიც დაინტერესდა საქართველოთი და მისი მაღალი კულტურის თაყვანისმცემელი გახდა. ქართველი ერის კულტურის შესწავლას, გამოკვლევას და თარგმნას ბევრმა უცხოელმა მიუძღვნა თავისი ნიჭი, დრო და უნარი.

ჩვენ გვწამს, რომ ამ გზით ვინახავთ და ვამტკიცებთ ჩვენს ისტორიულ კულტურას და უზრუნველვყოფთ საქართველოს მომავალს.

მხურვალე მადლობას უცხადებთ ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო საქართველოს ამ ისტორიული და დიდ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მოწვეული საზეიმო კრების მოწყობაში.

**გ. ზალდასტანიშვილი**

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე

(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ სადღესასწაულო კრებაზე).

---

## ეროვნული და პიროვნული თავისუფლება

უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა შეუერთდე ქართულ საზოგადოებას და საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდაათი წლისთავის საზეიმო კრების მონაწილე გავხდი.

ეს მოხდა ორმოცდა ათი წლის წინ, 1918 წ. მაისის 26-ს, როდესაც თბილისში, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავი სანიმუშო ზეიმის და ღირეობის თარიღია.

ხალხის უმრავლესობისათვის, და კერძოდ ჩვენთვის, ამერიკელებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა სანაქებო მოვლენაა.

ეს არის ბედნიერების და მადლიერების უაღრესი გამოსახულების მომენტი.

იყო დამოუკიდებელი, ნიშნავს იყო თავისუფალი პიროვნება. იყო თავისუფალი ნიშნავს, შენ თვითონ განაგო შენი ბედიღბალი, შენ თვითონ შეარჩიო პოლიტიკური სისტემა, რომელიც შენი რწმენით უკეთესი იქნება შენი ერის ინტერესებისათვის. იყო თავისუფალი, ეს ნიშნავს, ისე ემსახურო შენს ღმერთს, როგორც ამას საკუთარი სინდისი გიკარნახებს. იყო თავისუფალი, ეს ნიშნავს ისე წარმართო შენი ცხოვრება, როგორც შენ გსურს და შენი ეკონომიური მიღწევები დამოკიდებული იყოს შენს ნიჭზე, ენერგიაზე და მოქმედების უნარზე.

ამ ქვეყანაში, დღეს ჩვენ ვსარგებლობთ ამგვარი თავისუფლებით. ჩვენ დღეს მეტი თავისუფლება გვაქვს, ვიდრე გვქონდა წარსულში და მომავალში გვექნება უფრო მეტი, ვიდრე დღესა გვაქვს. ამერიკული საზოგადოება დინამიურია, ის ასაზრდოვებს და ახალისებს ცვლილებას და ხდება მიღწევების წყაროდ. ასეთი საზოგადოება ყოველთვის უფრო პროგრესიულია და მას მეტი მიღწევები აქვს. ამ იდეას, როგორიც არ უნდა ადგილი ექიროს ეროვნული ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში, ის ყოველთვის არის საზოგადოების ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელი და სრულქმნილი.

როცა ჩვენმა ერმა, რევოლუციური ომის შედეგად დაიმკვიდრა დამოუკიდებლობა, ამერიკის უფლება და თავისუფლება განისაზღვრა დროების მიხედვით, მაგრამ ამერიკული საზოგადოების შინაგანი დინამიზმის და დემოკრატიული პრინციპის წყალობით, რომელზედაც ეს ქვეყანა დაშენდა, — ამერიკული ცხოვრება გამომჟღავნდა, როგორც ამერიკული ისტორიის უდიდესი ევოლუცია, — უმაღლესი და უთავისუფლეს საზოგადოებრივ ცხოვრებად.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთია ამერიკა; ეს არის რომელზედაც დაშენდა ამერიკა, და რასაც ჰპირდება თავისუფალ საზოგადოებას და ერებს.

ცხოვრების ეს ახალი პრინციპი დაიწყო ამერიკული რევოლუციით, როდესაც რამოდენიმე მასაჩუსეტელი ფარმერი აღსდგა იმპერიალისტური ხელისუფლების ტირანიის წინააღმდეგ, რომელიც შეეცადა მათთვის თავისუფლება წაერთმია და იმ დროს გავარდნილი თოფის ხმა მსზფლიოში გაისმა. ეს ხმა თვით შვენს ეპოქაშიც ისმის, რადგან ის წარმოადგენს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას, რომელმაც კაცობრიობისათვის დღეს ახალი დანიშნულება მიიღო.

1967 წლის ნოემბერში რუსებმაც იდღესასწაულეს თავიანთი რევოლუციის 50 წლისთავი. მათ განაცხადეს, რომ ეს რევოლუცია კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო. მათი მტკიცებით კომუნიზმმა უნდა გაანთავისუფლოს მთელი კაცობრიობა მონობისაგან. ისენი იჩემებენ, რომ ადამიენის თავისუფლება, მისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, შემომქმედმა კომუნიზმს დააკისრა.

მაგრამ თუ როგორ მოატყუა ხალხი ამ რევოლუციამ ეს ისევე კარგად იცით თქვენ, როგორც მე.

რუსულმა რევოლუციამ ხალხს მოუტანა არა თავისუფლება, არამედ მონობა; არა იმედი უკეთესი ცხოვრების, არამედ იმედის გაცრუება; ადამიენის სულიერი დეგენერაცია, მისი მორალური დაცემა და არა მომავლის იმედებით განმსჭვალვა.

როცა ქართველმა ხალხმა 1918 წ. მაისის 26 თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დარწმუნებული იყო, რომ საუკუნეზე მეტ რუსული ოკუპაციის შემდეგ იქნებოდა თავისუფალი: თავისუფალი, რათა თვითონ განეკითხად საკუთარი ეროვნული ბედიღბალი და აღარა ყოფილიყვნენ დამოკიდებული უცხო ძალაზე.

სამწუხაროდ სულ სხვაგვარად წარიმართა საქართველოს ბედი.

1921 წ. თებერვლის 11-ს წითელი არმიის ოთხმა კორპუსმა შეუტია საქართველოს. მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ საქართველო იძლია, მით უმეტეს, რომ დასავლეთის ქვეყნებმა მას არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს.

ქართული არმიის გმირულმა ბრძოლებმა ვერ იხსნა ქართველი ერის დამოუკიდებლობა... მდგომარეობა უფრო გაართულა ოსმალეთის საიქოეთის მშველელად გამოსვლამ.

საქართველომ წააგო... მარტის 10-ს, ბათუმში უკანასკნელად შეიკრიფა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს მთავრობას დაავალა საზღვარგარედ წასვლა და გამათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება.

მთავრობამ დასტოვა სამშობლო...

მარტის 20-ს რუსის ჯარი შევიდა ბათუმში.

ამგვარი მუხანათობით და ძლიერი სამხედრო ძალით რუს კომუნისტებმა დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც მისმა წინამორბედმა, — მეფის რუსეთმა, 120 წ. წინ, 1801 წ. დაამხო საქართველოს სამეფო.

დანარჩენი ყველაფერი ნათელია აქ დამსწრეთათვის და მსოფლიოსათვისაც.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როგორც ეს მოხდა ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, მოსკოვმა განამტკიცა თავისი ბატონობა.

რა დაემართა ოქტომბრის რევოლუციის შეპირებას? მოუტანა მან თავისუფლება ყოფილ რუსეთის იმპერიის ერებს? მოსკოველი პროპაგანდისტები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ისეთი რესპუბლიკების მატერიალურ მიღწევებს, როგორც საქართველოა; ამას გვაწვდიან, როგორც კომუნიზმის გამარჯვების ნიმუშს.

მართალია საბჭოეთის ზოგი მიღწევა უდაოა, მაგრამ ეს არ არის კომუნიზმის გამარჯვების შედეგი. ეს პროგრესი უმთავრესად გამოიწვია ორმა ფაქტორმა, სახელდობრ: მოსალოდნელი და ნორმალური გაუმჯობესება მზარდ ინდუსტრიალური საზოგადოების და ქართველი ერის თვისება, რომელიც ცნობილია ნიჭით, გარჯით, შრომით, შემოქმედებითი უნარით, მტკიცე სულით და ეროვნული სიამაყით. რომელსაც სწამს თავისი უკვდავი მომავალი.

როგორი არის ქართველი ხალხის სულიერი მდგომარეობა?

ქართველი ერი არ არის თავისუფალი. მას არა აქვს უფლება ნებისმიერ აირჩიოს თავისი მმართველობა. ეს არ არის ერი, რომელსაც შეუძლიან კონტროლი გაუწიოს თავის ეროვნულ მოქმედებას, მას არა აქვს ინტელექტუალური თავისუფლება, არ შეუძლიან ემსახუროს მას, რაც მასა სწამს, არა აქვს თავისუფლება ფიქრის და მოქმედების, ე. ი. მას წართმეული აქვს ყოველივე უფლება, რაც ღმერთმა ყველას მიანიჭა.

თავისუფლება, რომელიც დღეს ქართველ ხალხს აქვს, ეს მხოლოდ ის არის, რასაც მოსკოვის ტირანები უწყვეტავენ. რუსეთი ბჭობს და სწყვეტავს, თუ რა მოუხდება ქართველ ხალხს და არა თვით ქართველი ხალხი.

დღეს უკვე აღარავინ შეიძლება დაეჭვდეს, რომ რუსეთმა საქართველოში მოიტანა არა ახალი ტიპის თავისუფლება, არამედ ახალი ტიპის იმპერიალიზმი, რომელიც უფრო ტოტალიტალური, უფრო მრისხანე და უფრო ველურია, ვიდრე რუსეთის მეფეებს დასიზმრებიათ. ეს არის ახალი ტიპის იმპერიალიზმი, რომელიც მეოცე საუკუნის იდეებს დიდათ დაშორებული, მასთან ჩამორჩენილია: პოლიტიკურ-ეკონომიური ძიებით სურთ ახსნან ადამიანის დამონავება და მრისხანებას მარქს-ლენინის იდეებს უკავშირებენ.

თქვენ ალბად შეამჩნიედ, რომ მე ვიხმარე სიტყვა „ძიება“, რადგან სულ ეს არის, რაც საბჭოეთს შეუძლიან ქნას და თქვას: მოსკოვი ცდილობს გარდაქმნას ქართველი ერის შინაგანი განწყობილება. ცხადია, ამას მოსკოვი ვერასოდეს ვერ შესძლებს. საკმარისია ილაპარაკოთ დასავლეთელ მოგზაურთან, რომელმაც საქართველოზე გაიარა, რათა ნათელი გახდეს, რომ ქართველი ერი უცვლელი დარჩა. რუსული მოვლენებისგან განდგომილი და საკუთარი წარსულის და ტრადიციის პატივისმცემელი.

ამბობენ ძველი თაობის ქართველები უკეთესად ლაპარაკობენ რუსულად, ვიდრე დღევანდელებიო. ეს იმით აიხსნება, რომ ახალმა თაობამ განიცადა ეროვნული სიამაყის ახალი ტალღა, რომლის შეჩერება და აკრძალვა მოსკოვს აღარ შეუძლიან. ამ „ტალღამ“ აღადგინა ქართული კულტურის და ტრადიციის პატივისცემა. ახალი თაობა ამჟღავნებს რუსული ენის მიმართ უყურადღებობას.

ამგვარად შეგვიძლიან ვიპოვოთ ახსნა თანამედროვე ქართველების მიმართ რუსეთის უკმაყოფილების, რომელსაც მოსკოვი ვეღარა ფარავს.

ეს მხოლოდ უბრალო გადასვლაა, მაგრამ ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანი, რადგან ის ნათელყოფს ქართველი ერის ეროვნული სულის სიმტკიცეს და დამპყრობელთან შეურიგებლობის სულს.

რასაკვირველია სწორედ ეს არის საპატიო ამერიკის და მისი დასავლეთელი მოკავშირეებისათვის, კერძოდ კი ბრიტანეთისათვის, რადგან საბჭოთა პროპაგანდის ანტიდასავლეთური გამოსვლები და მათ მიერ დასავლეთის იმპარიალიზმის დაგმობა რომ მხოლოდ დემაგოგიური ყალთაბანდობაა, ამას ნათლად ამჟღავნებს საქართველოს მდგომარეობა და ქართველი ერის განწყობილება.

შეერთებულ შტატებს აბრალებენ იმპერიალისტურ და კოლონიალურ მისწრაფებებს და კაპიტალისტური სამყაროს ლიდერათ აცხადებენ, მაგრამ, ე. წ. ამერიკულ კოლონიალიზმის ისტორიული ფაქტები სულ საწინააღმდეგო მაგალითებს იძლევა. ამერიკელებს აქვთ რეპუტაცია დიდი მასშტაბის საქმეები აკეთონ, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს „საქმიანობა“ არასოდეს იმპერიალისტური არა ყოფილა.

მართალია მეოცე საუკუნის დამდეგს, — ამერიკა-ისპანიის ომის შედეგად ჩვენც გავეხვიეთ იმ მოდის (ე. ი. კოლონიალიზმის) სამოსელში, რადგან ჩვენი კონტროლი დავამყარეთ ფილიპინს კუნძულზე და პორტო რიკოზე, მაგრამ ეს არ არის არც ჩვენი მისწრაფება და არც ჩვენი პოლიტიკის ბუნება.

კოლონიალიზმი იმ დროს დიდი სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი, რუსეთის მისწრაფება იყო და ჩვენც ჩაგვითრია დროთა სრბოლამ. ცხადია, ამ გარემოებით არც ერთი ამერიკელი ბედნიერი არ იყო და მდგომარეობა მალე შეიცვალა. ჯერ შევქენით „ხალხთა მეგობრული კავშირი“, რომელიც სრული თავისუფლებისკენ მიმავალი გზაა. 1930-ან წლებში კონგრესმა დააკანონა ფილიპინის თავისუფლება და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის კიდეც გახდა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რაც შეეხება პორტო-რიკოს, ამ მშვენიერი კუნძულის მცხოვრებლებს მრავალი შემთხვევა ჰქონდათ თავისი ბედი თვითონ გადაეწყვიტად, მაგრამ მათი გარდაწყვეტილება ყოველთვის იყო ამერიკასთან დარჩენა.

ეს არის ამერიკული კოლონიალიზმი, რისთვისაც საბჭოეთი გამუდმებით თავს გვესხმის.

ამ მოვლენაში ყველაზე უფრო სამწუხაროა, რომ დასავლეთმა ჯერ კიდევ ვერ შეიმცნო საბჭოთა კოლონიალიზმის ნამდვილი შინაარსი.

ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ მთალი საბჭოთა კავშირი რუსებით არის დასახლებული. ბევრისათვის უცნობია, რომ საბჭოთა კავშირი მრავალერიანი სახელმწიფოა და მისი მოსახლეობის მხოლო 50% რუსი. იქ არის უფრო მეტი მუსულმანი, ვიდრე გაერთიანებულ არაბულ სახელმწიფოში, უფრო მეტი თურქი, ვიდრე ოსმალეთში; იქ არიან ხალხები, როგორც ქართველები, სომხები, თავისი წარსულით, კულტურით, ენით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციით და რელიგიით არაფერი აქვთ საერთო რუსებთან.

დასავლეთის ზოგიერთი ხალხი ვერ ერკვევა, რომ ჩვენს ეპოქაში საბჭოთა კავშირი უდიდესი კოლონიალური იმპარიაა და ამიტომ ის არის ისტორიული უკულმართობაც; ამახინჯებს ყოველ ისტორიულ მოვლენას. 1945 წლიდან, როდესაც ხალხთა თავისუფლების ერა დაიწყო, საბჭოეთი სულ საწინააღმდეგო გზას დაადგა. როცა დასავლეთმა იმპერიალისტურ სისტემაზე ხელი აიღო და იმპარიის ნანგრევებზე წარმოიშვნენ ეროვნული სახელმწიფოები, რუსეთმა უფრო გააცხოველა საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ არა რუს ერების „სოვეტიზაცია“, რაც პრაქტკიულად ნიშნავს გარუსებას და რასაც თვით საბჭოელები დიდი რუსეთის შოვინიზმს უწოდებენ; ამასაც არ დაჯერდნენ; გააფართოვეს საზღვრები და ახალ-ახალი ერები დაუმორჩილეს თავის იმპერიალისტურ სისტემას.

საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავის აღნიშვნა, არ არის მხოლოდ მოგონების დღე, არამე, ამავე დროს, ის არის ერთგვარი მიმართვა კაცობრიობისადმი და იმ ეროვნული ნებისყოფის გამოვლენა, რომელიც ქართველმა ერმა ძლიერ ფორმებში გამოამჟღავნა. ამავე დროს ამ მოქმედებით თანამედროვე კაცობრიობას ვაძლევთ საბჭოთა კოლონიალიზმის ნათელ მაგალითს.

შეიძლება ამ მაგალითმა ყოველი კოლონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორმოცდა ათი წლის შემდეგ

დღეს შევიყარენით, რათა აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდაათი წლისთავი.

1918 წლიდან მოყოლებული, — ქართველები, ყოველ წლიურად და ყოველ ქვეყანაში, მოწიწებით და ღრმა გრძნობით აღვნიშნავთ ამ მოვლენას, რაც თავისთავად დიდი მნიშვნელობის სიმბოლოა ჩვენთვის.

მრავალ ათეულ წელთა მანძილზე უცხო ოკუპაციის წინააღმდეგობაში გამოიჭედა ქართველი ერის ნებისყოფა და ქართველი ხალხი გააერთიანა იმ გარდაწყვეტილებამ, რომ უნდა აღგვედგინა ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ქართველი ერის ამ შეურყეველმა რწმენამ მოგვცა 26 მაისი . . . ეს იყო ეროვნული აღფრთოვანების და ბედნიერების დღე . . . თავისუფალმა ცხოვრებამ მოგვცა მხნეობა და ენერგია და დავამყარეთ დემოკრატიული სოციალური სტრუქტურა. ჩვენ გვწამდა, რომ თავისუფალი ქართველი ერი კვლავ დაიკავებდა ღირსეულ ადგილს მსოფლიო ერთა ოჯახში და თავისი მაღალი კულტურით მსოფლიო კულტურის სალაროში თავის წვლილს შეიტანდა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთში კომუნიზმი მტკიცდებოდა . . . საქართველო კი ეროვნულ ისტორიულ შარას დაადგა და თავისი ეროვნული პიროვნება აღიდგინა.

ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო ყველა იმ დროინდელმა დიდმა სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც . . .

რუსეთში გამარჯვებულმა კომუნიზმმა ვერ აიტანა მეფის რუსეთის იმპერიის დანგრევა; ვერ აიტანა მაღალი კულტურის, მაგრამ მცირე რიცხოვანი ერების თავისუფალი არსებობა და 1921 წლის თებერვლის 11-ს მრავალრიცხოვანი ჯარით გადმოლახა ჩვენი საზღვარი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა. ამის შემდეგ 26 მაისი გადაიქცა ისეთ მოვლენად, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ყოველწლიურად განვამჟღავნოთ ჩვენი ურყევი ნებისყოფა, რომ დავიბრუნოთ ის, რაც დავკარგეთ.

ჩვენ ყოველწლიურად ვაცხადებთ და მოვითხოვთ საქართველოს თვითარსებობის, „თვითგამორკვევის“ უფლებას.

ჩვენ ბევრჯერ მივმართეთ მრავალ მსოფლიო ორგანიზაციებს და გავაცანით ჩვენი საკითხი. მეგობრები აღტაცებით აღნიშნავენ ქართველი ერის სიმტკიცეს; აღნიშნავენ, რომ ჩვენი მიძღვნილობა და გაუტეხელობა ამხნევებს თავისუფალ სამყაროს.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად, მაინც ძალიან მცირე მიღწევები გვაქვს. ყოველწლიურად დამოუკიდებლობის აღნიშვნა გადაიქცა ერთი და იგივეს განმეორებად და ამიტომ ის კარგავს საჭირო ეფექტს. ეს გარემოება გვავალდებულებს გადავსინჯოთ გახვლილ 50 წ. მანძილზე მომხდარი ევოლუცია მსოფლიო ვითარებაში და ჩვენი პოზიცია მას შევუფარდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გადაიქცევა სიმბოლიურ მოგონების დღესასწაულად და დაჰკარგავს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

* ★ *

როდესაც საქართველოს რესპუბლიკამ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხის პასუხი იყო, რასაც მოველოდდით: დაუყოვნებლივი და მკაცრი რეაქცია. ყოველი საშუალებით, წლების განმავლობაში, ვიბრძოლეთ დაკარგულის დასაბრუნებლად. მრავალ სისხლიან აჯანყებას ჰქონდა ადგილი. შედეგი? ურიცხვი პატრიოტების დახვრეტა; ქართული ოჯახის დახვრევა, ათიათასობით გადასახლება და იძულებით შრომის ბანაკებში გამოწყვდევა. ჩვენ, ვინც დავტოვეთ ჩვენი ქვეყანა, ბრძოლა გახვაგრძეთ საზღვარ გარეთ. უცხოეთში ვეძებდით თანაგრძნობას და დახმარებას ჩვენი ძირითადი უფლების მოსაპოებლად და არასოდეს იმედი არ დაგვიკარგავს, რომ ერთ დღეს ქართველი ერი კვლავ იქნება დამოუკიდებელი.

როდესაც ამ მოვლენებს საქართველოს ისტორიის ფარგლებში განვიხილავთ, ერის რეაქცია მიგვაჩნია სრულიად ბუნებრივად. მთელი ძალა იყო მიმართული, რომ დაგვებრუნებინა, რაც წაგვართვეს. ამისათვის ავირჩიეთ პირდაპირი დატაკების გზა. ამაყი და თავისუფლების მოყვარულ ერისათვის ასეთი მოქმედება ბუნებრივია. სამწუხაროდ, მიუხედავათ ჩვენი თავდაუზოგველობისა, მიუხედავათ ყოველი ხერხისა და საშუალების გამოყენებისა, საკუთარი ძალებით მიზანს ვერ მივაღწიეთ და თანდათან ვიგრძენით, რომ ჩვენი მოქმედება ხელსაყრელ მომენტს უნდა შეუფარდოთ, იმ წინდაწინი რწმენით, რომ დამპყრობელებს არასოდეს არ დავემორჩილებით, არ შევურიგდებით. მაგრამ, ჯერჯერობით, ნათელი არ არის, თუ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას, ჩვენთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შესაქმნელად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ეროვნული მოვალეობაა ამ მომენტისათვის მზად ვიყოთ.

**
*

მე მგონია ჩვენი პოზიციის სერიოზული სისუსტის მიზეზი ისიც იყო, რომ წარმოვიდგინეთ, თითქოს, ჩვენი მდგომარეობა განცალკევებული და განსაკუთრებული ხასიათისა და ის მარტო საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება. ჩვენ ვერ გამოვიცანით, რომ თანამედროვეობაში ახალი ფაქტორები წარმოიშვნენ და სწორედ ესენი სწყვეტავენ ერთა ურთიერთობის საკითხებს. ტექნიკური მეცნიერების და მიმოსვლის განვითარებამ, ნუკლეალური ძალის გამოყენებამ კაცობრიობის მოქმედება ერთიმეორეზე გადაასკვნა და ერთი მეორეს მჭიდროდ გადააბა.

სტუდენტების დემონსტრაცია ბერლინში, ან მწერლების პროტესტს მოსკოვში უშუალო და დაუყონებლივი გამოხმაურება აქვს პარიზში, თუ ნიუ იორკში. პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელიც საბჭოთა სატელიტების ქვეყნებში ვითარდება, კავშირი აქვს ვიეტ-ნამთან. ძნელია დაბეჯითებით თქმა, თუ რომელ მოვლენას ექნება უეცარი და გადამწყვეტი გავლენა საქართველოზე. ამასთან ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ქვეყნიერება შედის მღელვარების ხანაში, სადაც, თითქოს, ღირებულება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ძირითადი რწმენა საფუძველს. ძალიან ცოტას ვხედავთ მუდმივს, ან მტკიცეს და არავითარ ქვეყანას არ შეუძლიან თავისი უძლეველობა და მყარობადობა დაიჩემოს. მაშასადამე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის აუცილებელია გადავსინჯოთ მთელი ქართული პრობლემა და ჩვენი მუშაობის პროგრამა დღევანდელ რეალურ მდგომარეობას დაუკავშიროთ. იმის მაგიერ, რომ უმოძრაოდ დავრჩეთ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოებლად, ჩვენ უნდა წინ წავიწოთ ამ ცდაში და ვაღიაროთ, **ჩვენი მთავარი მიზანი: — საქართველოს ეროვნული პიროვნების დაცვა და ის განვტვირთოდ ზედმეტი ტვირთისაგან.**

**
*

ამისდამიხედვით უნდა გამოვიყენოთ სხვა ერებთან შესაფერისი პარალელი.

საუკუნოებით ფინლანდელებს ემუქრებოდნენ ძლიერი მეზობლები; კიდეც მრავალჯერ შეესივნენ და დაინაწილეს. მათ მრავალგზით იბრძოლეს რუსეთის წინააღმდეგ და უმთავრესად დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე თვის წინ, ფინელებმა იდღესასწაულეს თავისი ერის 50-თე წლის დამოუკიდებლობა სწორედ რუსეთისაგან. როცა საბჭოთა კავშირის სხვა მეზობლები კომუნისტურ უღელში გაებნენ, ფინეთმა ბრძნულად შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა. ეს სწორედ ის არის, რაზედაც უისტონ ჩერჩილმა სთქვა: თავისუფალ კაცს შეუძლიან ამის ქნაო.

დღეს ჩეხები გვაძლევენ სხვა გაკვეთილს. ოცი წლის განმავლობაში მოთმინებით იტანდნენ ქედმოხრილობას. ეხლა კი გვაჩვენეს ბრწყინვალე დიპლომატია. მათი დაგეგმილი, გამონანგარიშებული ოპერაცია მომავლისათვის ახალ პერსპექტივებსა შლის.

იგივე ხდება ევროპაში. 20 წლის წინად 8 კომუნისტური რეჟიმი იყო, ეს იყო რუსეთის საყრდენი და მისი იმედი. რუსეთს თავის გასადევრად მიაჩნდა ალბანია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, აღმოსავლეთ გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი და იუგოსლავია. ამ „კოალიციიდან“ რუსეთს მხოლოდ სამი შერჩა, სხვებს კი აღარ ენდობა. ეს გარემოება შემთხვევითი არ არის, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ასე მოხდა სხვაგან და შეიძლება მოხდეს საქართველოში, არამედ ხაზი იმას მინდა გაუსვა, რომ დაპყრობილ ერებს აღმოაჩნდათ უნარი და შესაძლებლობა, თავისი ეროვნული პიროვნება, ეროვნული კულტურა და ეროვნული განცდა შემოენახად. სჩანს მათ თავიდანვე დაისახეს ეს მიზნათ და მისკენ მთელი ძალღონის დაძაბულობით მიისწრაფოდნენ. განსაზღვრულ პერიოდში მათ შეგნებულად შეიკავეს თავი, „ჩაჰყვნენ ჩამთრევსა“, მაგრამ საკუთარი აზრი და განცდა არ დაუკარგავთ.

ამ მიდგომით ჩვენს წინაშე იშლება უდიდესი შესაძლებლობა; ჩვენ მივიღებთ მოქმედების სრულ თავისუფლებას და ეს მიდგომა მოსპობს ქართველთა შორის არსებულ ტაქტიკურ სხვადასხვაობას. თუ ჩვენი მიზანი ქართული მემკვიდრეობის შენახვაა, ეს უნდა გავამარტივოთ: ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით შემოვინახოთ ქართული კულტურა და მისი მაღალი დანიშნულება.

საკითხის ამგვარი თვინიერი მიდგომა, ცხადია, მრავალ გაუგებრობასაც წარმოშობს, რადგან ჩვენი შეგნება აღგზნებულია იმ უსამართლობის მიმართ, რომელსაც ჩვენი ერი განიცდის, მაგრამ, ჩემის აზრით, პრაქტიკული და კონსტრუქტიული მოქმედების ერთად ერთი შესაძლებლობაა და არ შეგვიძლიან ეს მხედველობიდან გაუშვათ. ამიტომ ნუ მივიღებთ ამ დღეს, როგორც წლისთავს მხოლოდ, რომოლესაც ადგილი ჰქონდა ნახევარი საუკუნის წინ. ნურც როგორც მწუხარების დღეთ, რადგან დავკარგეთ ის, რასაც ვიგონებთ, ნუ მივიღებთ ნურც იმ თარიღად, როდესაც ხალხს ასაჯანყებლად უნდა მოუწოდოთ, — არამედ ეს უნდა გადაიქცეს იმ დღეთ, როდესაც უნდა შევიმოსოდ სიბრძნით, გადავწვდეთ ამ სიმბოლოს გაღმა მდებარე მოვლენებს, მას შევუფარდოთ, მას დაუკავშიროთ ჩვენი პრობლემა და ყოველდღიური შრომით განვამტკიცოდ ჩვენი პოზიცია.

მხოლოდ ამგვარი შემაგუებელი, მტკიცე, მოზომილი და დაგეგმილი მოქმედებით დავიბრუნებთ იმ ნაინატრს, რომელიც ჩვენი წინაპრების მძიმე შრომით, თავდაუზოგველი ბრძოლით წარმოიშვა, რომელიც ჩვენ დავკარგეთ და რომელსაც დღეს ჩვენ ვიგონებთ.

**სეიმურ ჰალპერნ**

შ.შ. კონგრესმენი

(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ სადღესასწაულო კრებაზე).

**ვ. სანგულიას** თარგმანი

## ეროვნული და პიროვნული თავისუფლება

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ალური ქვეყნები ცოტა მაინც ახლო მიიყვანოს რუსულ პოლიტიკასთან და დაინახონ უარესი, ვიდრე დასავლეთში ნახეს.

მაშინ შეამჩნევენ, რომ რუსულ კოლონიალიზმიდან არ უნდა მოელოდნენ თავისუფლებას, როგორც ეს დასავლეთის შემთხვევაში ხდებოდა, არამედ ის არის დაუსრულებელი ეროვნული ექსპლოტაცია.

ამ ცოდნით შეიარაღებულები ის ხალხი, რომლებსაც სურთ საბჭოთა ბლოკთან შეერთება დასავლეთის წინააღმდეგ და რომლებიც თავის ქვეყნებში იწვევენ კომუნისტ „ტექნიკოსებს“ — შეიძლება მეტი სიფრთხილით მოიქცნენ საბჭოეთთან და საბჭოთა ორიენტაციის საკითხში.

საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე, მოდი ჩვენ ყველამ, — ქართველებმა, ამერიკელებმა და ყველამ, ამ დიდი ცვლილებების ეპოქაში, გამოვთქვად ხალხთა განთავისუფლების ღრმა რწმენა, რადგან ჩვენ გვწამს, რომ ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის ეპოქაში ვცხოვრობთ და ეს დათრგუნავს და დაჯაბნავს დამპყრობელს და დაპყრობის პოლიტიკას. ამავე შემთხვევის გამო, საზეიმოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ საბჭოეთმა დაიპყრო საქართველო, მისი ტერიტორია, მაგრამ მან ვერ დაიმორჩილა საქართველო, მისი სული . . . და მთავარი ხომ სწორედ ეს არის!

თავისუფალი ქართველი ერი და მისი ეროვნული ნებისყოფა, ეს არის ჩვენი იმედის საფუძველი.

## ფიქრები საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდაათი წლის თავზე

1939 წელს, როცა წითელი არმია ფინეთს შეესია, მცირერიცხოვანმა ერმა, თავისი სიმამაცით და თავდადებით მსოფლიოს სულიერი საზრდო, დაჩაგრულ ერებს კი იმედი მისცა.

გასული წლის დეკემბერში 4.675.000 ფინელმა სამშობლოს რუსეთიდან დამოუკიდებლობის ორმოცდაათი წლისთავი იდღესასწაულა. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ფინეთმა დაამტკიცა თავისუფალი ადამიანის შემოქმედების მაღალი ხარისხი, არა მარტო ომის პერიოდში, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, მრავალ სანიმუშო მიღწევებით.

ქართველებს, რუსული დათვის სამხრეთელ მეზობლებს, განსაკუთრებული პატივისცემა და სოლიდარობის გრძნობა აქვთ ფინელების, რადგან ამ ორი ერის ისტორიაში მრავალი პარალელი მოიძებნება.

ეს ორი პატარა ერი, საუკუნოების განმავლობაში თავს იცავდა მრავალ რიცხოვან შემოსეულ მტრებისაგან და, ბოლოს, ორივე რუსული ექსპანსიის მსხვერპლი გახდა. მეცხრამეტე საუკუნეში. რუსეთის რევოლუციის დროს ორივე ქვეყანამ ისარგებლა დამოუკიდებლობა დაიბრუნა და დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. ამის შემდეგ ორივე დიდი იმედით და ენერგიით შეუდგა თავისუფალ სახელმწიფოებრივ მშენებლობას. გარნა, სამი წლის შემდეგ დიდი ისტორიული წარსულის მქონე საქართველო ერთხელ კიდევ გახდა აგრესორის მსხვერპლი, რომელიც ამ ჟამად წითლად შემოსილი ჩაქუჩით და ხამგლით გამოცხადდა. საბედნიეროდ, დასავლეთზე ზურგ მიყუდებულ ფინეთს, იმ დროს რუსული მეტევა ასცდა.

საქართველოს იმ მომენტში რუსეთის მიერ დაპყრობის პოლიტიკის გამარჯვების მთავარი მიზეზები ჯერ კიდევ საპაექრო საგანია პოლიტიკოსების, მხედრების, ეკონომისტების და გეოპოლიტიკოსებ შორის; ხოლო მემატიანეს საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვავს.

ქართველი ერი, როგორც წარსულში, ამჟამათაც არ შეურიგდა დამპყრობელს. ეს მან მრავალ გამოსვლებით და აჯანყებებით დაამტკიცა.

1956 წ. თბილისის სტუდენტების გამოსვლა ეროვნული სიამაყის სანიმუშო დემონსტრაცია იყო, რომელიც, როგორც ყოველთვის და ყველგან, რუსული ტანკებით, ტყვიებით და ხიშტებით ულმობლად ჩაახშეს.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების და აშენების პერიოდში, ფინეთი გადაურჩა საბჭოთა ინვაზიას და მხოლოდ 1939 წ. სცადა რუსეთმა მისი დაპყრობა, წითელი არმიის მასიური შევით. იმ დროს საბჭოთა რუსეთმა შესძლო ფინეთის ტერიტორიის მხოლოდ ერთი მეათედის დაპყრობა. 1941 წელს გერმანელების დახმარებით, ფინელებმა ბრძოლით დაიბრუნეს წართმეული მიწა-წყალი, გარნა სამი წლის მოგვიანებით მათ ისევ დაკარგეს, გერმანელების უკან დახევის შედეგათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს სხვა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებიც შეეცადნენ ეროვნული დამოუკიდებლობა და ადამიანური უფლებები აღედგინათ. მაგ. ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, უკრაინელები და კავკასიელები. მეტად საინტერესო მოვლენაა, რომ თვით რუსი მოსახლეობის დიდი ნაწილიც, პირველ ხანებში, გარმანულ ჯარს, როგორც „გამანთავისუფლებლებს“ ღებულობდნენ. რუსებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ პიროვნულ ჩაგვრას, ტერორს და კოლხოზებს ბოლო მოეღებოდა. ეს იყო , რაც მათ ხელში შერჩად 1917 წლის რევოლუციის ანგარიშში, რომლის ლოზუნგი ძმობა, ერთობა, თავისუფლება, თანასწორობა იყო.

მრავალი ათასი ყოფილი ტყვე წითელარმიელი მზათ იყო გერმანიას დახმარებოდა.

გერმანულმა სარდლობამ, თავისი ინიციატივით, — დასაწყისში ჰიტლერის უცოდინრად, მოხალისეებისაგან დამხმარე და სამხედრო ნაწილები ჩამოაყალიბა, რომელთა რიცხვი მოგვიანებით, საგრძნობლად გაიზარდა.

იმ დროს გავლენიან გერმანელებ შორის მოიძებნებოდნენ ისეთნიც, რომლებიც ჰიტლერის პოლიტიკას და მიზნებს, დაპყრობილ ტერიტორიებზე არ იზიარებდნენ და მის შეცვლას ცდილობდნენ. მათ შორის აღსანიშნავია საგარეო სამინისტროს დიდი მოხელე გრაფი შულენბურგი, უმაღლესი სარდლობიდან გრაფი შტაუფენბერგი, აღმოსავლეთ სამინისტროდან პროფესორი ფონ მენდე, გენერალი კოსტრინგი მისი თანამშრომლებით, პროფესორი ობერლენდერი და სხ.

ქათველების ძველმა მეგობარმა, გრაფ შულენბურგმა, რიბენტროპის საშუალებით, ჰიტლერს გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვით გერმანელებს თავისი თავი საბჭოთა კავშირის ერების გამანთავისუფლებლად უნდა გამოეცხადებინათ. მათ ტერიტორიებზე კოლხოზები მოესპოთ, ხალხს თვითმმართველობის და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება მინიჭებოდა. ჰიტლერმა ეს გეგმა უარყო.

როგორც ვიცით ამ დროს ფინეთი გერმანიის მოკავშირე იყო და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა დაკარგული ტერიტორიის უკან დასაბრუნებლად. ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ფინეთი ჰიტლერის ნაციონალ სოციალისტურ იდეებს იზიარებდა, არამედ მას, იმ მომენტში, გერმანიასთან საერთო ინტერესები აკავშირებდა რუსეთის მოსაგერიებლად, ისევე, როგორც ინგლისი და ამერიკა მოკავშირენი იყვნენ საბჭოთა რუსეთის, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიისაგან სრულიად გამიჯნულნი იყვნენ.

ამ გართულებული მდგომარეობის დროს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ემიგრაციაში, საჭიროდ დაინახა, ყოფილი საგარეო მინისტრი ევგენი გეგეჩკორი ფინლანდიაში წასულიყო, თავისი ძველი მეგობრის მარშალ მანნერჰაიმის სანახავად.

ევგენი გეგეჩკორმა ფინეთის პრეზიდენტს და მხედართმთავარს სთხოვა, ეცადა ჰიტლერზე გავლენა მოეხდინა და აღმოსავლეთ დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისი პოლიტიკა შეეცვალა.

ქართული ემიგრაციისათვის ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხდებოდა, რადგან გერმანელები კავკასიას სწრაფად უახლოვდებოდნენ. ამავე მოსაზრებით, ქართველ ტყვეების და ქართული ინტერესების და-

**დრ ო. ზალდასტანიშვილი**

(სიტყვა წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე გამართულ სადღესასწაულო კრებაზე).

**ალ. ჯინჭარაძეს** თარგმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგეთიდან, გერმანიიდან და პოლონეთიდან გერმანულ ჯარში მოხალისეთ ჩაეწერა, რათა მასთან ერთად შესულიყო კავკასიაში.

მარშალმა მანნერჰაიმმა ევგენი გეგეჩკორს თხოვნა შეუსრულა, მაგრამ მან ჰიტლერს თავის პოლიტიკაზე ხელი ვერ ააღებინა. ჰიტლერის პოლიტიკის ტრაღედია კარგად არის ცნობილი დაპყრობილ ტერიტორიების მოსახლეობისათვის და გერმანულ ჯარში მყოფ მოხალისეებისათვის. მიუხედავათ ურთულესი მდგომარეობისა საბჭოეთის მიერ დაპყრობილ ერებმა, მსოფლიოს დაუმტკიცეს თავისი ურყევი სურვილი და გარდაწყვეტილება, რომ მათ სურთ და იქნებიან თავისუფლები.

დღეს, როდესაც ეროვნული თავისუფლების იდეა მსოფლიოში თავმომწონედ დანავარდობს, როდესაც დასავლეთ სახელმწიფოების კოლონიალურ პოლიტიკას ბოლო მოეღო და მრავალმა აქამდე უცნობმა აფრო-აზიურმა პატარა ერმა დამოუკიდებლობა მიიღო, მხოლოდ რუსეთი დარჩა კოლონიალურ იმპერიად. თვით გულუბრყვილო დასავლეთელისათვისაც კი ცხადი გახდა, რომ კრემლი მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობებს და კომუნისტურ იდეოლოგიას, რუსული იმპერიალისტური ინტერესებისათვის იყენებს. სტალინ-ტიტოს შორის კონფლიქტმა, უნგრეთის 1956 წლის სისხლიანმა ამბებმა და ჩეხოსლოვაკიის ანექსიამ დასავლეთს ის დაანახვა, რაც ჩვენ, ქართველებმა დიდი ხნიდან ვიცით და რასაც ზოგი მიამიტი, ემიგრანტის პროპაგანდას ეძახდა.

რუსმა კომუნისტებმა არამც თუ ქართული სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ დაინდვეს, არამედ, მოგვიანებით, თავიანთი პარტიული მეგობრებიც გაანადგურეს: „ტროცკისტობის“, „ტიტოელობის“ „ეროვნული გადახრების“, თუ სხვა მომიზეზებით. იმ ფაქტს, რომ სტალინი წარმოშობით ქართველი იყო, არავითარი გავლენა არ მოუხდენია. სტალინი, როგორც კორსიკელი ნაპოლეონი, ან ავსტრიელი ჰიტლერი დიდი იმპერიის მმართველი იყო და მან ყოფილ სამშობლოს ინტერესები ამას შესწირა.

მისმა მემკვიდრეებმა საბჭოთა კავშირში მომხდარი ყოველი უსამართლობა და სიველურე მიცვალებულ „ბელადს“ დააბრალეს და იმედ მოცემული მსოფლიო კრემლის ახალი მესვეურებისაგან დიდ ცვლილებებს მოელოდდა, გარნა, ძალიან ძნელი იქნება სტალინს დააბრალონ უნგრეთის, და ჩეხოსლოვაკიის ამბები, ან მწერლების და ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლების დაპატიმრება-გადასახლება, აზრის თავისუფლად გამოთქმის გამო.

ქართული საკითხი ეროვნული საკითხია და არა სოციალური, ან კლასთა ბრძოლის. საქართველოში არ მომხდარა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, არამედ მისი „პროდუქტი“ წითელმა არმიამ ცეცხლითა და მახვილით შემოიტანა საქართველოში და დღემდე მისი არსებობის დედაბოძი რუსის ხიშტია. ქართული კომუნისტური პარტიისათვის რომ ქართველ ერს თავისუფალი არჩევნების პროცესით დაევალებინა, ქართული დამოუკიდებელი მთავრობის არჩევა, ალბად, ქართული ემიგრაცია არც კი წარმოიშვებოდა. არცერთ ქართველ ემიგრანტს აზრად არ მოსვლია ქართველი კომუნისტების „განადგურება“. პირიქით, მრავალი მათგანი ემიგრაციამ შეიფარა და გადაარჩინა მეორე მსოფლიო ომის დროს და მთელი მისი არსებობის მანძილზე მწუხარებით ადევნებდა თვალყურს კრემლის მიერ ქართველების, (მათ შორის ქართველ კომუნისტების) ფიზიკურ მოსპობას, რადგან, სამ მილიონიანი ერისათვის სამის დაკლებაც კი მტკივნეულია.

დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ კომუნისტური პარტიები და მათ არავინა სპობს ფიზიკურად. მოდერნულ მსოფლიოში მხოლოდ რუსეთ-ჩინეთის კომუნისტურ იმპერიებში ხდება ამგვარი სიველურე. კულტურული ქვეყნები მათ იდეოლოგიურ გაკოტრებას და პოლიტიკურ დამარცხებას ლამობენ.

საქართველოს ისტორია, ბრძოლის ისტორიაა. ბრძოლა შემოსეულ მტერთან, ბრძოლა დამპყრობელთან, ბრძოლა საოკუპაციო ხელისუფლებასთან. თანამედროვე ეპოქა ჩვენი ისტორიის ერთი შავბედითი პერიოდია.

ჩვენმა ერმა გაუძლო არაბების, მონგოლების, შახ-აბაზების, და თემურლანგების მრისხანებას, ხოლო რუსეთის ოკუპაციის ეს პერიოდი, იმ ქვეყნის მატიანესათვის, საიდანაც არგონავტებმა მედეა და ოქროს ვერძი მოიტაცეს, მხოლოდ ერთი ფურცელია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდა ათი წლისთავზე ქართული ემიგრაცია სამართლიანი იმედით შეჰყურებს მომავალს.

თანამედროვეობამ მოსპო და წალეკა იმპერიალიზმის ზღუდეები და მის ნანგრევებზე თავისუფალი, ეროვნულ - დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვნენ. ისტორიის ამ მრისხანე განაჩენს ვერც რუსული იმპერია გაექცევა.

ეს მხოლოდ დროს საკითხია და ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ერის სიბრძნე, მისი სულის სიმტკიცე, მისი სახელმწიფოებრივი გამოცდილება და ტრადიცია საჭირო დროს გადასწვდება და ამ დაპირდაპირებიდანაც გამარჯვებული გამოვა.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო“. თუ მსოფლიოს გადარჩენა უწერია, ერთა თავისუფლების საფუძველზე მოეწყობა, არა მის ცალ-ცალკე უბანში, არამედ ყველგან, მთლიანად.

ეს გზა არც ჩამორჩენილ რუსეთს ასცდება და, ლერმონტოვის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ისიც იძულებული იქნება თავისი „ცისფერი მუნდირებით“ ბედისწერას დაემორჩილოს.

გ. გაბლიანი.

## ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში

(დასასრული. იხ. „ქ. ა.“ №78)

როგორც ვთქვით, ქართული მატიანე მრავალ სხვა შესანიშნავ ქალებსაც იხსენიებს, რომელთაც ნათელი სახელი დაუტოვებიათ მომავლისათვის. (მაგ. მწიაგნობარი და მეცენატი მარიამ დედოფალი, მხნე და ბრძენი ქალი ქეთევანი, მეუღლე გიორგი 13-სი. უკანასკნელი დედოფლები დარეჯან, მარიამ, დედოფალი იმერეთისა მარიამი და სხ.), მაგრამ ჩვენ ეხლა ამ სიით უნდა დავკმაყოფილდეთ.

მატიანეს ცნობათა მიხედვით ჩვენ შევჩერდით ქართველ ქალთა ღვაწლზე სამშობლოს საკეთილდღეოთ. ესენი არიან იშვიათი სულიერი კულტურის მატარებელნი, უხვად დაჯილდოვებულნი ნიჭით, ჭკუით, მხნეობით, ნებით, ატანის უნარით და სხვა მაღალი თვისებებით. მაგრამ ესეც ყველაფერი არ არის ეს მაღალი თვისებები თავსდებიან, როგორც მატიანე ხშირად მოწმობს, მშვენიერსა და წარმტაც არსებაში.

ქართველი ქალის სიმშვენიერე არა მარტო ქართველებს იპყრობდა და მის ხელოვნებს აჯადოვებდა, არამედ ყველა უცხოელსაც, ვინც კი ჩვენს ქვეყანას სტუმრებია. ამის მაგალითები ბევრია სხვა და სხვა მოგზაურების ნაწერებში. ჩვენ მხოლოდ ორიოდეზე თუ შევჩერდებით. მაგრამ ამას გვინდა წინ წაუმძღვაროდ ჩვენი დიდი ისტორიკოსის, — ვახუშტის სიტყვები, ქართველ ქალზე. ბატონიშვილი სწერს:

„საქართველოში ქალნი არიან მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალწარბთმოსანი, თეთრი ყირმიზნი, კაცთა და ქალთ შორის იშვიათია შავგვრემანი, ან მოყვითანო, თვალჭრელი, წითური და თეთრი; ქალთა აქვთ თმა გადაშვებული და დაწნული... არიან წერწეტნი და წიპლაკი ტანისა. ორივე სქესნი არიან მხნენი, მუშაკნი ჭირთა მომთმენნი, ცხენზე და მხედრობაში კადნიერნი და მკვირცხლნი მსწრაფნი, ამაყნი, ლაღნი სახელის მაძიებელნი. ასე რომ თავის გამოჩინებისათვის არც კაცნი და არც ქალნი არ ერიდებიან მეფისა და ქვეყნის სამსახურს. . .“ ამის შემდეგ ისტორიკოსი აგვიწერს ქალთა მშვენიერ ჩაცმულობას, სამკაულს და სხვა.

ეხლა მოვისმინოთ ზოგიერთი უცხოელი მოგზაურის აზრი. პიეტრე დევალეზე ბევრს აღარ ვიტყვით, საკმარისია გიოტეს „დივან“-ში დელავალეს აზრებს გავეცნოთ, რომელიც საესებით მოხიბლულია ქართველი ქალის შეუდარებელის მშვენებით. ამავე მშვენიერებას აგვიწერს ფრანგი მოგზაური შარდენი. რომელიც სწერს: „მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არც ერთ სქესში. აქაურთა პირისახე აღბეჭდილია ანგელოზისებრივის გამოხატულებით. ბუნებას ქალთა უმეტესობისათვის მიუნიჭებია ის სიტურფე, რის მსგავსი არსად სხვაგან არ მოიპოვება. მე არ შემეძლო მეცქირნა ისე, რომ ჩემს გულში სიყვარული არ აღგზნებულიყო. გამოცდილი მხატვარიც კი ვერ გადმოგვცემდა ამაზე უმშვენიერეს სახეს და მოქნილობას — ეს ქალები არიან ტანოვანნი, გასაოცრად აგებულნი და წელში წვრილად გამოქნილნი. არიან მახვილი გონებისა, ზრდილნი, თავაზიანნი, ამასთან ამაყნი და ზვიადი და სხ.“. ასეთნაირად და შეიძლება უფრო მეტათაც აღფრთოვანებულია ქართველ ქალის სიმშვენიერით მოგზაური აბატი დე ლაპორტი, რომელიც 1768 წ. ტფილისში ყოფილა. იგი სწერს: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალზე ლამაზი აქ არა არის რაო. ამ ქვეყანას შეიძლება კაცმა მშვენიერთა სავანე უწოდოს; ისე, როგორც სხვაგან იშვიათად ნახავთ სრულის სილამაზით შემკობილ ქალს, ისევე ძვირად შეხვდებით აქ ქალს, რომელიც იშვიათის სილამაზით არ იყოს დაჯილდოვებული . . . ძნელად თუ ვინმე წარმოიგდენს ისე ნაზედ მოყვანილ და სწორედ აგებულ ტანს, როგორიცაა ქართველი ქალის ტანი. ამასთან მათ აქვთ მედიდური და მიმზიდველი სიარული და სხ...“

სხვა მოგზაურებს არც რუსები ჩამორჩებიან ამ მხრივ. მწერალი მარკოვი, ქართველი ქალის წარმტაც თვალებს ასე აგვიწერს: „ვისაც ამ ქალის თვალები არ უნახავს, მან არ იცის თუ რას ნიშნავს საერთოდ ადამიანის თვალი, რაგვარად მიუწვდომელი და მატყვევებელი შეიძლება გახდეს მისი მშვენება ყველაზე უფრო წარმტაცი თვალები ევროპიელ ქალისა მოგეჩვენებათ მკრთალად, უფერულად და ცივად, შედარებით ქართველ ქალის თვალებთანო . . .“ ,

ქართველი ქალის მშვენება ხშირად მრისხანე მტერსაც კი აჯადოებდა და სამშობლოზე აწვდილ მახვილს ერს აცდენდა. ხშირად ეს მომხიბლავი სიტურფე მტრის მაღალ პოლიტიკას საქართველოს სასარგებლოდ წარმართავდა. ასე, პიეტრე დელავალე მოგვითხრობს: „სპარსეთის შახის სასახლე სავსე იყო ქართველი ქალებით და მათ იქ დიდი გავლენა ჰქონდათ თავისი სილამაზისა და მორალური ძალის გამოო . . . მათ ყველა სხვა ქალებ შორის უპირატესობა ეძლეოდათო“. ნაპოლეონის წარმომადგენელი — ჟობერი, რომელიც 1806 წ. სპარსეთში იყო, სწერს: „სპარსეთში იმყოფებიან წარჩინებული არსებანი, რომელნიც, თუმცა უცხო წარმოშობისანი არიან, მაგრამ, მაინც პოულობენ გავლენას სახელმწიფო საქმეებზე. სახელდობრ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც მოჰყავთ საქართველოდან, ჩერქეზეთიდან და სამეგრელოდან. ბიზანტიის ეხლანდელი ისტორიკოსები აღნიშნავენ თავის შრომებში ქართველი ქალის განსაკუთრებულ მშვენიერებას და გადმოგვცემენ, რომ ბიზანტიის კეისრები და წარჩინებულები ხშირად ირთავდნენ ლამაზ ქართველ ქალებს, რომლებიც მათზე გავლენას ახდენდნენო . . . საამისო მაგალითები ხომ ჩვენს მატიანეში და მწერლობაში მრავლად მოიპოვება. ზოგ მათგანზე ჩვენ უკვე ზევით შევჩერდით.

ორი სიტყვით გვინდა მოვიხსენიოთ ქართველ ქალთა ღვაწლი უკანასკნელ დროიდან. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს სასახელმწიფოს გაუქმების შემდეგაც ქართველი ქალები ღირსეულად ამოუდგნენ გვერდით მებრძოლ მამაკაცებს. შეუდგნენ თავდადებულ შრომას საქართველოს დაცემულ ვინაობის აღსადგენად. ქალები არა მარტო „მამულსა უზრდიდნენ შვილსა“ და ამით მათ სამშობლოსათვის თავგანწირვის უმაღლეს იდეებს უნერგავდნენ, არამედ თვითონაც ხშირად, მამაკაცების რაზმებში იდგნენ და სამშობლოს ღირსებას ეწირებოდნენ. ასე იყო მრავალ აჯანყებათა გასწვრივ: 1802, 1804, 1812, 1819 წლებში და შემდეგ; ქიზიყის, სამეგრელოს, გურიის ამბოხებებში. აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქართველი ქალი ერთგვარად განიცდიდა ეროვნულ დევნას და ტკივილს და გაფრთებით იბრძოდა ქვეყნის გადასარჩენად და დიდი იმპერიის ბრჭყალებიდან სახსნელად. განა სიმბოლიური არ არის, რომ უკანასკნელი დედოფალი ერის ღირსების დასაცავად რუსის გენერალს გულს ხანჯლით განუგმირავს და შემდეგაც, როცა საქართველო 1832 წლის დიდ აჯანყებისათვის ემზადება — შეთქმულებას ისევ ქართველი ქალი მეთაურობს და ეს არის იულონ ბატონიშვილის ასული თამარ, რომელიც აჯანყებულებს საქართველოს დედოფლად უნდა გამოეცხადებინათ . . .

ამ ბრძოლების ტრადიციამ შეინახა ქართული ოჯახი და სული და ასე მოატანა ქართველმა ქალმა მეოცე საუკუნემდე, როცა ერმა ახალ გზების ძიება დაიწყო. თ-დ ბარიატინსკის საბიოგრაფიო ცნობებში ჩვენ წავაწყდით ერთ საინტერესო ადგილს, რომელიც ქართველი ქალის ბრძოლებს ეხება რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ხასიათი მკვეთრი გამოვლინებაა ქართული რაობის . . . კავკასიის ყოფილი მთავარმართებელი ვორონცოვი ახლად დანიშნულ მმართველს სწერს და სათანადო დარიგებას აძლევს. — „თუ თქვენ მართლა გსურთ საქართველოს დაპყრობა და რუსთა ერთგულებად მათი მოქცევა გინდათ, — უნდა უპირველესად ყოვლისა შეეცადოთ როგორმე ქართველი ქალების გული მოიგოთო . . .“

ჩვენ ვნახეთ, რომ ვერც ბარიატინსკიმ და ვერც სხვებმა ეს ვერ შესძლეს. ქართველი ქალი სამშობლოს არ გადაუდგა და მან თავისი ბრძოლა ძველებური სიმძაფრით ჩვენ თაობამდე სახელოვნად მოიტანა.

უკანასკნელ განმათავისუფლებელ ბრძოლების ხანაში ქართველმა ქალმა საპატიო ადგილი დაიკავა და ერის პოლიტიკურ და სოციალურ განახლებისათვის ბრძოლებში მამაკაცს გვერდით ამოუდგა.

26 მაისს მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს ეკლიან გზებზე ქართველ ქალსაც ისევე მხნედ უვლია და თავი დაუდვია, როგორც მის ქმარს, ძმებს და შვილებს.

1921 წ. წითელი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ განა ქართველმა ქალებმა უდიდესი წვლილი არ შეიტანეს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლებში? განა სახელოვნად არ გასწირეს თავისი თავი იმ აჯანყებებში, რომელიც ქართველმა ერმა რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ მოაწყო?

ჭეშმარიტად, ძველი, სახელოვანი და ნათელი კვალი ქართლის დედისა უძღოდა ამ ახალ თაობის ქალებს, რომლებიც ეწამნენ და დაიღუპნენ სამშობლოს სამსახურში და რომელთა სახელი ლეგიონია. საქართველოს მატიანეს ფურცლებს ეს ახალი სახელებიც დაამშვენებენ და მომავალი თაობა მათზედაც იტყვის მგოსნის უკვდავ სიტყვებს:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო“

თამარ პაპავა

## სანდრო შანშიაშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავი

(გადაეცა რადიო „თავისუფლება“-ს მიერ)

სანდრო შანშიაშვილს საბჭოთა კრიტიკა აკუთვნებს ბურჟუაზიულ-დეკადენტურ მწერალთა რიგებს. ამას კრიტიკა იმითა ხსნის, რომ მან მოიარა დასავლეთ ევროპის დიდი ქალაქები და მისმა შემოქმედებამ განიცადა ბურჟუაზიულ-დეკადენტური გავლენაო. ეს მართალი არ არის. სანდრო შანშიაშვილი, რადღესაც გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მისი პოეტური კრედო იყო სამშობლო, ესე იგი, საქართველო და მშობლიური პოეზია. მისი წარსული და აწმყო. ამაზე ლაპარაკობენ სანდრო შანშიაშვილის უკვდავი ქმნილებანი, რომლებიც მან, როგორც პოეტმა და როგორც დრამატურგმა შექმნა. მისი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებია „უგვირგვინო მეფენი“, სადაც მხატვრულ ფორმებშია ასახული ქართველი ერის წარსული. მისი ბრძოლა ეროვნული არსებობისათვის. ეს პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, მაგრამ საბჭოთა პროპაგანდამ ის მოხსნა რეპერტუარიდან, როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ნაწარმოები.

სანდრო შანშიაშვილის ეროვნულ პოეტობაზე ლაღადებს მის მიერ შეთხზული „ბედროზმანია“, რომელიც დავიწყებას მიეცა. რეჟისორმა ალექსანდრე ახმეტელმა „ბერდო-ზმანია“ დადგა რუსთაველის თეატრში. მაყურებლის სიხარული უსაზღვრო იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ისიც მოხსნა სცენიდან. რათქმა უნდა მისი „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ შინაარსის გამო.

სანდრო შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის „ჰერეთის გმირები“, სადაც მოცემულია ქართველი ერის ბრძოლა შემოსეულ მტრის წინააღმდეგ.

საბჭოთა პრესა და ოფიციალური ლიტერატურული კრიტიკა აღნიშნავს, რომ სანდრო შანშიაშვილმა თავისი შემოქმედებითი მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაშალა. გამოდის, რომ პოეტს მანამდე არაფერი შეუქმნია!

სანდრო შანშიაშვილი პოეტურ შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა 1914 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს პოეტმა შექმნა მხატვრული შედევრების მთელი რიგი.

საბჭოთა ოფიციალური კრიტიკა სანდრო შანშიაშვილს საბჭოთა პოეტს უწოდებს. იგი არასოდეს არა ყოფილა საბჭოთა პოეტი. სანდრო შანშიაშვილი ნამდვილი სახალხო ეროვნული პოეტია, რომლის პოეზია იკვებება ქართული ეროვნული ძირებიდან. ასე რომ არ ყოფილიყო, პოეტი არ დაანებებდა თავს მწერლობას. ის მთელი ათი წელიწადი ჩამოშორდა თავის საყვარელ საქმეს.

თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო ეს წლები პოეტისათვის, ყველა შემოქმედი ადამიანისათვის გასაგებია.

ბოლოს, როგორც ეს სხვებსაც დაემართად, სანდრო შანშიაშვილმა „მიიღო“ საბჭოთა სინამდვილე და ათი წლის დუმილის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა მწერლობას. მან „შექვეთებით“ დაიწყო თავისი შემოქმედების განახლება. მან გადააკეთა ვსევოლოდ ივანოვის პიესა „ჯავშანო 14-69“, მისგან შექმნა სავსებით დამოუკიდებელი ორიგინალური ნაწარმოები „ანზორი“. ეს პიესა ალექსანდრე ახმეტელის დადგმით დიდი წარმატებით მიდიოდა რუსთაველის თეატრში. მოსკოვშიც დიდი წარმატება ერგო მას.

სანდრო შანშიაშვილს ეკუთვნის აგრეთვე დიდი მხატვრული ტილო „არსენა“. ეს პიესა აგებულია ხალხური არსენას მოტივზე. მას დიდი წარმატება ჰქონდა და იდგმებოდა არა ქართულ თეატრების სცენაზედაც.

დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა „შეკვეთით“, ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის თემაზე გააკეთა პიესა „სამნი“, რომელიც არაფრად არ ვარგოდა. მან ძლივს გაუძლო სცენას ერთი სეზონის განმავლობაში.

პოეტმა თავისი ნიჭით სცადა მოეცა „დიდი ლენინი“, „ბრძენი სტალინი“, მაგრამ ამ სახელებმა მის ნიჭს ვერაფერი უშველეს. პოეტი, როგორც მხატვარი და ქართული სიტყვის ოსტატი დამარცხდა. ამ ლექსების წაკითხვის დროს გრჩებათ შთაბეჭდილება, თითქოს პოეტი ბაწრით ეზიდება რითმებს ლექსებისათვის.

ჩვენი სახელოვანი პოეტი დღეს ოთხმოცი წლისაა. მაგრამ ამით განა ჩაქრა მისი შემოქმედებითი ცეცხლი?

პირიქით, ჩვენი მცხოვანი პოეტის უკანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1924 წლის აჯანყების წლისთავი

ქალბატონებო და ბატონებო!

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს სამეფო ვერაგულად დაამხო და საუკუნოს წლოვანი მაღალი კულტურის ერის უფლებები მიისაკუთრა, ქართველ ერს ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია; არ დამცხრალა მისი სული, არ შემცირებულა და დამპყრობელთან ბრძოლის სურვილი არ შენელებულა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია წარმოადგენს ყველაზე შავბნელ ფურცელს, რომელიც ოდესმე ჩაწერილა ჩვენს მატიანეში.

დავითის, თამარის, შოთას, მთაწმინდელების და ჩახრუხაძეების წარმომშობი ქვეყანა რუსეთის პროვინციად გადააქციეს: ფეხქვეშ გათელეს ათასწლოვანი კულტურა, ბრძოლით და სისხლით მოპოვებული ეროვნული დოვლათი გაზიდეს და ქართველ ერს მონობის უღელი დაადგეს.

ქართული ენა განიდევნა ხმარებიდან, შერყვნეს და წაბილწეს ჩვენი სალოცავები და წმინდანები და დაიწყო საქართველოს სრული გარუსების პოლიტიკა.

მაგრამ ვერავინ შესძლო ქართველი ხალხის ეროვნული სულის ჩაკვლა. ქართულ ოჯახში კვლავ ცოცხლობდა საქართველოს დიადი წარსული, თავისუფალი ეროვნული ცხოვრების იდეა.

მე არ შევეხები აჯანყების პრაქტიკულ მხარეს, ეს უკვე ულამაზესად იქმნა ასახული ბ-ნ ალ. ჯინჭარაძეს მიერ. მე მინდა მხოლოდ მის მნიშვნელობაზე შევაჩერო თქვენი ყურადღება.

როდის და რატომ ჯანყდება ერი?

როდესაც უცხო ძალა დაიპყრობს ქვეყანას და მას თავს მოახვევს მისთვის შეუფერებელ სოციალურ- პოლიტიკურ და ეკონომიურ სტრუქტურას; როდესაც დამპყრობელი შეეცდება დაპყრობილი ერი დააშოროს საკუთარ ეროვნულ-ისტორიულ ტრადიციებს, მაშინ დაპყრობილ ერს უკანასკნელ გამოსავლად აჯანყება რჩება.

ქართველი ერი სწორედ ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც მან რუს დამპყრობელს აჯანყებებით უპასუხა.

რუსეთმა ყოველი აჯანყება რუსული ბუნებისათვის შესაფერი სიველურით ჩაახშო. საჭირო იყო ქართველ ხალხს ტაქტიკა შეეცვალა ერის ფიზიკურ გადარჩენაზე ეზრუნა. ამ ახალი ტაქტიკის მეთაურობა ისტორიამ მესამოციანთა დას მიაკუთვნა, რომლის დროშასაც ეწერა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო".

აქედან დაიწყო საქართველოს აღორძინების ახალი პერიოდი: მესამოციანელთა და მათ მიმყოლ თაობების დაუღალავ, მოზომილ, დინჯ და გაბედულ მოქმედების წყალობით საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფო და წარმოშვა ბრწყინვალე 26 მაისი.

1917 წ. რუსული რევოლუცია ციურ მანანად მოევლინა ქართველ ერს. მან დაუყონებლივ გამოაცხადა თავისი თავის დამოუკიდებლობა და ისტორიულ სახელმწიფოებრივ ტრადიციებს დაუბრუნდა.

როგორც კი რუსეთში ანარქია მოისპო და ლენინმა ძალა-უფლება დაიმკვიდრა, დაუყონებლივ დაიწყო ძველი, მეფის რუსეთის იმპერიის საზღვრების აღდგენა.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა არა „მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის" ნიმუშია, არამედ, და მხოლოდ, ის მლაღადებელია, რომ რუსული კომუნიზმი რუსული იმპერიალიზმის პირმშო შვილია და მისი უებრო მემკვიდრე.

1921 წლის დაპყრობას საქართველომ შეურიგებლობით უპასუხა და ის თავის ტრადიციულ გზას დაადგა, დამპყრობელს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და საკუთარი ძალღონით სცადა ეროვნულ-სახელმწიფოებრივობის აღდგენა. ამ ტრადიციული გაბრძოლების ერთი ბრწყინვალე თარიღი 1924 წლის 29 აგვისტოა.

მართალია რუსულმა სიველურემ აქაც თავისი გაიტანა: საქართველო საკუთარ სისხლში აბანავა, მაგრამ ერის მორალურ გამარჯვების სიკაშკაშეს ეს ვერა ჩრდილავს.

თუ ერი სულიერად ძლიერია, თუ მას შეუძლიან თავდადება და მსხვერპლის გაღება, ის ადრე თუ გვიან იქნება თავისუფალი.. ჩვენმა წინა თაობამ დაამტკიცა, რომ საქართველოს თავდაცვითი ბრწყინვალე ისტორია, არ ეკუთვნის არც მარტო წარსულს, არც ბრძოლის შელამაზებული გამოვლინებაა, არამედ ის არის ფაქტი, რომელიც ყოველ თაობაში თანაბარი სიცხოველით ცოცხლობს. ჩვენ, ამ თაობის მოძღვეხონი, ამ ბრძოლის სულზე აღზრდილები, მათი მემკვიდრენი, მოვალეობის მაღალი შეგნებით ვლებულობთ მემკვიდრეობას და გვწამს საქართველოს აღდგენა, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უანგარო მიძღვნილობით და თავ დადებით შეიძლება.

დღეს უკვე ნათელია, რომ რუსული რევოლუციის ყალბმა პროპაგანდამ და შეპირებებმა დაპყრობილ ერებს თავის ეროვნულ უფლებაზე ხელი ვერ აღებინა ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ჩეხოსლოვაკიის მაგალითიც საკმარისია.

მოსკოვიდან განდგომის პოლიტიკა იუგოსლავიით დაიწყო, მას მოჰყვა ალბანეთი, რუმინეთი და დღეს ჩეხოსლოვაკია.

თავისუფლების ტალღით შეშინებული რუსეთი ვერა ბედავს გაიმეოროს ბუდაპეშტის ამბები.

ჩეხოსლოვაკიის რუსეთის მიერ ხელახლა დაპყრობამ ვერ გასტეხა „განდგომის" და თვითარსებობის სულისკვეთება. მხოლოდ რუსეთმა ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი იმპერიალისტური ბუნება, რამაც მეტად დააფიქრა დასავლეთის თავისუფალი ქვეყნები და იქ არსებული კომუნისტური პარტიები. რუსეთმა ამ აქტით სამუდამოდ დაარღვია ე. წ. „კომუნისტური სოლიდარობა" და მან დაიმსახურა ისეთი მრავალრიცხოვანი კომუნისტური პარტიების რისხვა და უნდობლობა, როგორნიც არიან იტალიის და საფრანგეთის.

დღევანდელი რუსეთის წინაშე უდიდესი პრობლემაა: ამ გაშიშვლებული იმპერიალისტური პოლიტიკით, საბჭოთა სატელიტ ქვეყნებში მოდებული „განდგომის" იდეა, საბჭოთა კავშირში ჩამწყვდეულ არა რუს ერებსაც არ მოედოს და იქაც არ გაბატონდეს. დასავლეთელი სპეციალისტების აზრით მთელს რუსეთში უკვე დაიწყო არა რუს ერების განთავისუფლების ერა. თავისუფლების იდეამ შეიპყრო თვით რუსული ახალთაობა: მწერლები თხოულობენ თაუისუფლად აზრის გამოთქმას, ხალხი თხოულობს უკეთეს ცხოვრების პირობებს, და რაც მთავარია, რელიგიის თავისუფლებასაც. ეს ჩვენის აზრით, საბჭოთა დიქტატურის, უკეთ ვთქვად, რუსული იმპერიალიზმის დასასრულის დასაწყისია.

საქართველო ხომ თავისუფლების მოყვარე არც ერთ ქვეყანას არ ჩამორჩება! 1956 წ. მარტში, ქართველ სტუდენტების გამოსვლა თბილისში, მხოლოდ პირველი მერცხალი იყო. მართალია რუსმა თავისი გაიტანა და მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლით წითლად შეღებეს მწვანე მდელო, მაგრამ ეს მაინც დიდ მნიშვნელობანი მოვლენაა. სისხლზე იზრდება მომავალი და სისხლია გამარჯვების წინასწარი პირობა. ჩვენი მოვალეობაა მტკიცედ შემოვინახოდ თავისუფლების იდეა და მეტი საზრდო მივცედ მებრძოლ თაობას.

1924 წ. საქართველომ დაამტკიცა, რომ მის შვილებს სამშობლოსათვის ბრძოლაც შეუძლიანთ და სიკვდილიც. ამით არის ძლიერი საქართველო და ეს ჰყოფს მას უკვდავათ.

ერთმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სთქვა: როცა მე მის სახელს ვახსენებ ეს ნიშნავს, რომ ის დიდი და ბუმბერაზიაო. როცა ჩვენ 1924 წლის აჯანყების მეთაურებს, მონაწილეებს და მსხვერპლად დაცემულ მამულიშვილებს ვიგონებთ ეს მათი სიდიდის და ბუმბერაზობის ნიმუშია და მათი სანიმუშო თავგანწირვა სიამაყით გადაეცემა თაობიდან თაობებს.

უკვდავნი არიან სამშობლოსათვის მიძღვნილი მამულიშვილები, რომელთა სული „ზეცას რბიან".

ვ. სანგულია

(სიტყვა წარმოთქმული ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ კრებაზე.)

## სანდრო შანშიაშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავი

კნელი ლექსები, რომლებიც ამა წლის ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე გამოქვეყნდა, კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ჟღერენ.

აბა წაიკითხეთ: „ჩემი სურათის წინაშე", „ერთი შეკითხვა", „ვაჟას უკვდავება", „ეს რა კაცია?". ეს ლექსები დაბეჭდილია ჟურნალ „მნათობის" ამა წლის მესამე ნომერში.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან პოეტს დიდი ხნის სიცოცხლე, რომ კვლავ დიდ ხანს ჟღერდეს მისი ხმა ქართულ ეროვნულ პოეზიაში.

**

## ქართულ სათვისტომოში

## საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდაათი წლისთავი

საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლის თავი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნა შ. შ. არსებულ ქართული სათვისტომოს გამგეობამ.

საზეიმო საღამოს ეშხი, ლაზათი და შინაარსი, დამსწრეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ამ მოხდენილობას წინ უსწრებდა სათვისტომოს გამგეობის მიერ წინასწარ შექმნილი ქალების კომისია, რომელმაც დიდი ყურადღებით დაამუშავა საზეიმო საღამოს ყოველი დეტალი, რამაც მოგვცა სამაგალითო და თვალწარმტაცი სურათი. საზოგადოების მადლობა და პატივისცემა მიეძღვნის არა მარტო გამგეობას, არამედ ქალების კომისიას, და განსაკუთრებით ქ.ქ. ელენე წულუკიძეს ასულ რაინდხელს, ელ. ცომაიას, ანა ერისთავის ასულს, თ. კვიტაშვილ-მარაბდის, ნინო ვაჩნაძეს ასულს, ელ. თოფურიას, მ. სანგულიას, რომლებმაც არ დაიშურეს არც დრო, არც ენერგია, არა მარტო საღამოს ლამაზიანი და სიმდიდრულობისათვის, არამედ უცხო საზოგადოების შერჩევითი და მრავალრიცხოვანი მოწვევისათვის.

სასტუმრო პიერის ქართულ-ამერიკული დროშებით მორთულ დარბაზში კრება გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. ზალდასტანიშვილმა. შესავალი სიტყვის შემდეგ (რომელსაც მკითხველი „ქ. ა." ამავე ნომრიდან გაეცნობა), დამსწრე საზოგადოება და საქართველო აკურთხა ქართველების დიდი ხნიდან მეგობარმა დეკანოზმა გ. ააადეამ. მას მოჰყვა ჩვენი თანამემამულის კ. ერისთავის მისასალმებელი სიტყვა, ნიუ იორკის ქალაქის თავის ლინდზის დავალებით და საკუთარი მოსაზრებებით დაასკვნა, რომ ხალხთა განთავისუფლების იდეას ვერ შეაჩერებს „რკინის ფარდა" და შიგ ჩამწყვდეული ერები იხილავენ დამოუკიდებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი თანამემამულე კ. ერისთავმა სულ მოკლე ხანში გააკეთა ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა და მისი ნიჭი, უნარი და მხო კიდევ უკეთეს მომავალს გვპირდება.

შემდეგ სიტყვა მიეკუთვნა მ. შ. კონგრესმენ სეიმურ ჰალპერნს. მკითხველი თვითონ გაეცნობა ამავე გაზეთიდან, თუ რამდენად ჩახედული ყოფილა კონგრესმენი ქართულ საკითხში და რამდენად ლოღიკურია მისი იმედი, რომ საქართველო იქნება დამოუკიდებელი.

დრ ო. ზალდასტანიშვილის გამოსვლა იყო დინჯი, პედაგოგიური ტონით მოუსაიფე, მას არ ახასიათებს ენთუზიაზმი და პათოსი. ვინც მისი სიტყვა მოისმინა, ან წაიკითხავს, ის დაგვეთანხმება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გზების ძიებაში მას ყველაზე უკეთესი და პრაქტიკული გზა აქვს ხაოვნი. ეს არის ქართული საკითხის გამარტივება, განტვირთვა ზედმეტი ბარგისაგან, მისი მსოფლიო პრობლემებთან დაკავშირება და მისთვის ყოველდღიური შრომა და ბრძოლა. დრ. ო. ზალდასტანიშვილი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ყოველი ჩვენთაგანის გული სავსე იყო სიამაყით, რომ ქართული საკითხის მოჭირნახულე ახალგაზრდა მეცნიერს დიდი მიღწევები აქვს თავის დარგშიც. ამერიკული საზოგადოების სათანადო უწყებამ სწორედ დრ ო. ზალდასტანიშვილს მიანიჭა ყოველწლიური უმაღლესი ჯილდო ბოსტონის აეროდრომის აშენების გამო.

სამწუხაროდ დრ. გ. გაბლიანი კრებას ვერ დაესწრო, რადგან სწორედ იმ პერიოდში მიმდინარეობდა კალიფორნიაში ამერიკელ ქირურგების საზოგადოების წლიური კონფერენცია და როგორც კვიხსის დელეგატი მას უსათუოდ უნდა დასწრებოდა. მკითხველი ჩვენი გაზეთიდან გაეცნობა მის შინაარსიან სიტყვას, რომელიც მოხდენილად წაიკითხა მოხდენილმა ხუციშვილის ასულმა.

შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარე კრებას აცნობს, რომ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით გამგეობას გადაუწყვეტია შემოიღოს ყოველწლიური ჯილდო იმ უცხოელებისათვის, რომლებმაც ამა თუ იმ დარგში საქართველოს რაიმე დამსახურება გაუწიეს.

პირველი ჯილდო მიუკუთვნებიათ ვ. ე. დ. ალლენისათვის, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ საქმეს ქართველი ერის ისტორიის ინგლისურ ენაზე გამოცემით.

მეორე და მესამე ჯილდო მიეკუთვნად ბოსტონის კონსერვატორიის მოწაფეებს ბ-ნ რობერტ უაჯერს, რიჩარდ კოფფს და ინდიანას უნივერსიტეტის სტუდენტ პეტრე გოლდს, ქართული მუსიკის შესწავლისათვის.

შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარე საზოგადოებას იწვევს მეორე ოთახში, სადაც მათ დახვდათ გაშლილი სუფრა. ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა ქართველ ქალ-ვაჟთა ცეკვებმა და ქართულმა სიმღერებმა, რომელიც შესრულა ბ-ნ რ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით ბ-ნ დ. ტანერმა, აღფრთოვანებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება.

კონგრესმენ სეიმურ ჰალპერნმა საზოგადოების თავმჯდომარეს მოსწერა: მრავალ ეროვნების დღესასწაულებს დავსწრებივარ, მაგრამ არასოდეს ის სიამოვნება არ განმიცდია, რაც თქვენთან განვიცადეო.

ამ სტრიქონების ავტორიც მრავალ ეროვნულ დღესასწაულს, მრავალ ქვეყანაში დასწრებია, მაგრამ უფრო მეტი სიამაყით და მომავლის მეტი რწმენით არ დაბრუნებულა სახლში, როგორც ამ ჯერად მოხდა.

ეხლა სიტყვა შენზეა მკითხველო: ეკუთნის თუ არა ყოველ ქართველს ეროვნული ნებისყოფის გამოვლინების ყოველ მომენტს დაესწროს და თავისი შესაძლებლობით ის განამტკიცოს?.

**

★

1924 წლის აჯანყების წლისთავი ქართულმა საზოგადოებამ საკუთარ სახლში გადაიხადა.

სათვისტომოს გამგეობის სახელით ილაპარაკეს თავმჯდომარეს მოადგილე ბ-ნ ვ. სანგულიამ და მდივანმა — ბ-ნ ალ. ჯინჭარაძემ.

ბ-ნი ალ. ჯინჭარაძე შეეხო 1924 წლის აჯანყების მოწყობის ტექნიკას და საზოგადოებას გადაუშალა მისი ნათელი სურათი.

ბ-ნმა ვ. სანგულიამ კი მსმენელთა ყურადღება აჯანყების მნიშვნელობაზე შეაჩერა.

ორივე მოსაუბრე მხურვალე ტაშით დააჯილდოვა დამსწრე ქართველებმა.

დასასრულს თბილი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ ლ. არველაძემ.

დამსწრე.

„ქართული აზრის" რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გასული იანვრის 9-ს, ინგლისში, გარდაიცვალა

პოლკ. ალექსანდრე ყიფიანი

ღრმა სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებთ მის მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ აპრილის 13-ს,, საფრანგეთში, გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს სტუდენტთა კავშირის პირველი გამგეობის მდივანი

ფილიპე შარაძე

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის მეგობრებს.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ აგვისტოს 24-ს, საფრანგეთში გარდაიცვალა იოსებ კემულარიას ქვრივი

მარგალიტა კემულარია

ღრმა სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის 27-ს, საფრანგეთში, გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი უშიშროების პოლიციის უფროსის ქვრივი

აგრაფინა კედია

„ქართული აზრის" რედაქცია ულრმეს სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს მის შვილს, სიძეს, რძალს, შვილიშვილებს და მეგობრებს.

ქართული სათვისტომოს გამგეობა გვთხოვს განვაცხადოთ, რომ გამგეობას განზრახული აქვს შობის დღესასწაული მოაწყოს დეკემბრის 29-ს.

დარწმუნებული ვართ ქართველი მშობლები დაიჭერენ თადარიგს, რათა ქართული წარმოშობის ბავშვებმა ერთად იზეიმონ ქრისტეშობის დღესასწული.

**G. A. Press**

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.*